პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 40 (19182) შაბათი, 16 თებერვალი, 1985 წელი. ფასი 3 კაპ.

მოვემზადოთ მინდვრად გასასვლელად!

„საგაზაფხულო თესვის უზრუნველყოფის საიმედოობას განსაკუთრებული აქტუალურობა ენიჭება წელს, როცა პარტია, მთელი ხალხი ემზადებიან სკკპ XXVII ყრილობისათვის. საჭიროა სათანადო დასკვნები გამოვიტანოთ გასული წლის გაკვეთილებიდან, კარგად მოვემზადოთ ამინდის ყოველგვარი პირვეულობისათვის, უზრუნველვყოთ მარცვლეულის, საკვების და სხვა პროდუქციის წარმოების ზრდა".

კ. უ. ჩერნენკო.

თებერვალი, მართალია, ზამთარს ეკუთვნის, მაგრამ ამ თვეში დარიანი დღეები საკმაოდ არის, ჰორიზონტზე ამაღლებული მზე უფრო მეტად აცხუნებს ნაზამთრალ მინდორს, ბაღ-ვენახსა და პლანტაციებს, გამლღვალ-გაფუებულ მიწის წვენით იქლინთება ნუშისა და ატმის კვირტები.

ეს ის პერიოდია, როცა მხვნელ-მთესველს უამრავი საქმე შინ აღარ აყენებს, აჩქარებს მოემზადოს ხუთწლედის დამამთავრებელი წლის უხვი მოსავლის მისაღებად ბრძოლის პირველი ეტაპისათვის — თესვის კამპანიისათვის, ბაღ-ვენახებსა და პლანტაციებში გასასვლელად.

ამ საერთო-სახალხო კამპანიის წარმატებას ბევრად განსაზღვრავს ტექნიკის მზადყოფნა, მისი პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება, აგრეთვე თესლის ხარისხი. წლევანდელი 14 თებერვლის „პრავდის" მოწინავემ სხვა რესპუბლიკებთან, მხარეებთან, ოლქებთან ერთად დადებითად მოიხსენია ჩვენი რესპუბლიკა, რომლის ბევრმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ მოიმარაგა საჭირო რაოდენობის ხარისხოვანი თესლით, და დროულად უზრუნველყო მისი მაღალი სათესი კონდიციები.

[illegible]

მოწინავეთა მხარდამხარ

სამუშაოთა მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს დმანისის მანქანა-ტრაქტორების ექსპლოატაციისა და შეკეთების სამრეწველო საწარმოს ტრაქტორების შემკეთებელი საამქროს ზეინკალი მერაბ ციხელაშვილი.

გადაჭარბებით შეასრულა რა ხუთწლედის მეოთხე წლის პირადი წლიური საგეგმო დავალება, მ. ციხელაშვილი სათავეში ჩაუდგა სოციალისტურ შეჯიბრებას, რომლის მიზანია საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ვადამდე მომზადება.

საქინფორმის ფოტოკორესპონდენტის ზ. აივაზოვის მიერ გადაღებულ სურათზე აღბეჭდილია დმანისის მანქანებისა და ტრაქტორების ექსპლოატაციისა და შეკეთების სამრეწველო საწარმოს მოწინავე შემკეთებელი ზეინკალი მერაბ ციხელაშვილი.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.



რაციონალიზატორთა მილიონები

მზარდი პერსპექტიული ქალაქია რუსთავი, მის მშენებელთა წინაშე დასახული გრანდიოზული ამოცანების განხორციელება ბევრად არის დამოკიდებული მშენებლობის პროგრესული ფორმებისა და მეთოდების დანერგვასა და ამ მიზნით ტექნიკურ სიახლეთა ძიებაზე.

სწორედ ამ მიმართულებით წარმართავენ თავიანთ მუშაობას საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს №1 ტრესტის სისტემაში შემავალი საწარმოებისა და სამმართველოების გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა ბიუროები, რომლებიც დაკომპლექტებულია გამოცდილი სპეციალისტებით.

ზოგი რაციონალიზატორული წინადადება ინდივიდუალურია, ზოგიც — კოლექტიური. ტექნიკურ სიახლეთა ძიებაში ჩაბმული არიან ინჟინერ-ტექნიკოსებიც და მუშებიც, რომელთა ახალი აზრი უშუალოდ საწარმოო-ტექნოლოგიური პროცესების წარმართვის დროს იბადება.

ასეთი მისწრაფებით შემოქმედებითს ძიებას რუსთავში ეწევა ასობით რაციონალიზატორი. მათ მიერ შემოთავაზებულ —1600 წინადადებიდან წარმოებაში დაინერგა 1480 წინადადება და ამით სამი მილიონი მანეთი დაიზოგა.

№1 სამშენებლო ტრესტის სამმართველოს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა ბიუროს თავმჯდომარემ, გამოცდილმა ინჟინერმა ი. ხელაძემ მიაკვლია შენობის სახურავის მოსაწყობი ახალი ბევრად იაფი, უფრო ხარისხიანი და ხანგამძლე მასალების მიღებისა და გამოყენების გზას, რისთვისაც მან გამოგონების მოწმობა დაიმსახურა.

შემოქმედებითი კვლევა-ძიების მდიდარ ტრადიციებს ავითარებს №1 სამშენებლო ტრესტის ტექნიკური ლაბორატორია (უფროსი — ი. შუბლაძე, უფროსი ინჟინერი — ვ. თუმანიშვილი), რომლის წამყვანი მუშაკები ეძებენ შრომის მეცნიერული ორგანიზაციის, ახალი სამშენებლო მასალების ათვისებისა და დანერგვის გზებს. აქ ამ ბოლო დროს აითვისეს მოსაპირ-

[illegible]

ნომისტი ა. იასინეცკი. მათ მეტალურგიული ქარხნის სამშენებლო-სარეკონსტრუქციო ობიექტებზე წელს დანერგეს 135 რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა ეკონომიკური ეფექტი თითქმის 300 ათას მანეთს შეადგენს. ეს ორივე მაჩვენებელი საგეგმოსაც ბევრად აღემატება და სოციალისტური ვალდებულებით გათვალისწინებულსაც.

სამშენებლო დანახარჯები დიდად შეამცირეს იმ ტექნიკურმა სიახლეებმა, რომლებიც ამ სამმართველოს №3 უბნის სამუშაოთა მწარმოებლის ზ. ოდიკაძის, ახალგაზრდა ინჟინრის ა. ჭელიშვილისა და სხვათა წინადადებებით დაინერგა. აქვე, შემკეთებელ-მექანიკურ სახელოსნოში დაკომპლექტებულია რაციონალიზატორთა კომპლექსური ბრიგადა, რომელსაც გამოცდილი ამწყობი ზეინკალი ი. ბონდარენკო ხელმძღვანელობს, ხოლო კონსულტაციას უწევს სამმართველოს მთავარი მექანიკოსი ვ. კოსაკიანი.

ნაყოფიერად მუშაობენ რკინაბეტონის ნაკეთობათა დამამზადებელი კომბინატის რაციონალიზატორები: მთავარი ტექნოლოგი ნ.

[illegible]

თა კომბინატი (დირექტორი — ი. ქვარცხავა).

ჯილდო და ფულადი პრემია არაერთხელ დაუმსახურებიათ №1 სამშენებლო სამმართველოს („მეტალურგმშენის") რაციონალიზატორებს, რომელთა საქმიანობას სათავეში უდგას ინჟინერ-ეკო-

[illegible]

იმ გრანდიოზული ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც მეთერთმეტე ხუთწლედში რუსთავის მშენებელთა წინაშეა დასახული — ასეთია ტექნიკური სიახლის მაძიებელთა შემოქმედებითი მისწრაფება, რომელიც კვლავაც ფრთებს ისხამს.

ა. ჯახუა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

მოგცეს განაწესი — შეასრულე!

სიტყვისა და საქმის ერთიანობის ნიშნით მიმდინარეობს რესპუბლიკაში ამომრჩეველთა შეხვედრები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებთან, ღია წერილის ერთიანი დღე, მათი მონაწილენი ყოველმხრივ აანალიზებენ, განიხილავენ იმას, თუ როგორ ასრულებენ ახლანდელი მოწვევის დეპუტატები, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანოები და ორგანიზაციები ამომრჩეველთა განაწესებს, როგორ რეაგირებენ ისინი მშრომელთა ზეპირ და წერილობით მიმართვებზე, მათს საჭიროებებზე, მოთხოვნებზე, სურვილებზე. საქმიანი შეხვედრებისა და საუბრების, გულახდილი დიალოგების დროს, რომელთა შინაარსსაც განსაზღვრავს დევიზი „ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის!", ამომრჩევლები ახალ განაწესებს აძლევენ მომავალი მოწვევის დეპუტატობის კანდიდატებს, უზიარებენ მათ თავიანთ აზრებსა და გულისნადებს, გამოთქვამენ კონკრეტულ წინადადებებს იმ პრობლემებზე, რომლებიც მათი შრომითი კოლექტივების, ქალაქებისა და რაიონების, რესპუბლიკის, მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარებას უკავშირდება.

ამ განაწესების ბედი ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ყურადღებით, რამდენად პასუხისმგებლობით მოეკიდებიან მათს შესრულებას შესაბამისი სამინისტროები და უწყებები, საწარმოები და ორგანიზაციები, ხაზგასმით აღინიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე, რომელმაც განიხილა რესპუბლიკის კავშირგაბმულობისა და ვაჭრობის სამინისტროების ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ ასრულებენ ისინი ამომრჩეველთა მიერ საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის მიცემულ განაწესებს.

აღინიშნა, რომ ბევრი ასეთი განაწესის განხორციელებას ითვალისწინებს რეგიონების ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების გეგმები, დაწესებულია კონტროლი მათი შესრულებისადმი. რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ შესასრულებლად მიღებული 39 განაწესიდან 23 შეასრულა. ეს არის ახალი რადიოსარელეო ხაზები თბილის-ლენინგორ-ყაზბეგი, [illegible]

[illegible]

კვანძის შენობის აგება ადიგენის რაიონის დაბა აბასთუმანში. შესრულების პროცესშია კიდევ 8 განაწესი, ამდენივეს განხორციელება გათვალისწინებულია მეთორმეტე ხუთწლედში.

რაც შეეხება რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს, მან შეასრულა შვიდი განაწესიდან ერთი, 5 შესრულების სტადიაშია, კიდევ ერთი მიღებულია უახლოეს წლებში შესასრულებლად. ამომრჩეველთა წინადადებების შესაბამისად სავაჭრო ცენტრები შენდება ქალაქებში რუსთავსა და წყალტუბოში, ახალი საკოლმეურნეო ბაზარი — ზესტაფონში და ა. შ.

ჯეროვნად შეაფასა რა გაწეული მუშაობა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ ამასთან ერთად ორივე სამინისტროს მიუთითა არსებითი ნაკლოვანებანი ამომრჩეველთა განაწესების შესრულებაში, კერძოდ, ისინი კოლეგიების სხდომებზე არ განიხილავენ საქვეუწყებო დაწესებულებათა ხელმძღვანელების ანგარიშებს. არ დანერგილა კონტროლის მწყობრი სისტემა, რის შედეგადაც ირღვევა განაწესების შესრულების ვადები, ჭიანურდება ზოგიერთი მათგანის რეალიზაცია.

რესპუბლიკის კავშირგაბმულობისა და ვაჭრობის სამინისტროებს [illegible]

[illegible]

რესპუბლიკური შეჯიბრების გამარჯვებული

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1984 წლის სახელმწიფო გეგმის წარმატებული შესრულებისათვის გაშლილი რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად საქართველოს სსრ დამზადებისა და ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროებს შორის ცნეს რესპუბლიკის დამზადების სამინისტრო.

სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისია.

ბუნების გუშაგები

რესპუბლიკაში დაიწყო ბუნებრივი სიმდიდრის დაცვისა და ბრაკონიერობის წინააღმდეგ ბრძოლის პირველი სპეციალიზებული სახალხო რაზმეულების შექმნა

— **რა მიზნით იქმნება ეს რაზმეულები? ხომ არ მოახდენენ ისინი არსებული ბუნებისდამცავი ორგანოების მუშაობის დუბლირებას?** — ამ კითხვებით მიმართა საქინფორმის კორესპონდენტმა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს უფროსს, პოლკოვნიკ **გიორგი გიგაშვილს.**

— უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ამ აქციის მასობრივი ხასიათი — ასობით მოწინავე მუშა და კოლმეურნე, მოსამსახურე, სტუდენტი, მოსწავლე, პენსიონერი შეძლებს უშუალოდ მი-

[illegible]

ში სამართალდარღვევათა პროფილაქტიკისა და აღკვეთის საქმეში, ამჟღავნებდნენ ნადირობისა და თევზაობის წესების დარღვევას, ადგენდნენ ოქმებს გამოვლენილ დარღვევათა შესახებ და მათ განსახილველად უგზავნიდნენ შესაბამის ორგანიზაციებს. ჯგუფები და რაზმეულები იმოქმედებენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების შტაბებთან. მაგრამ მათი ძირითადი ფუნქცია მარტო ამით არ ამოიწურება. აღმზრდელობითი მუშაობა შრომითს კოლექტივებში, გარემოსადმი საფუთი [illegible]

[illegible]

წყლის ფონდების დაცვა და გაუმჯობესდეს ბრძოლა ნადირობის, თევზაობის წესების დამრღვევთა და ტყის გამჩეხ[illegible]ელთა წინააღმდეგ.

— **რა ძირითადი ამოცანები და ფუნქციები აკისრიათ რაზმეულებს?**

— ისინი უნდა ებრძოდნენ ბრაკონიერობას, აქტიურად მონაწილეობდნენ ცხოველთა და მცენარეული სამყაროს დაცვის სფერო-

[illegible]

მეურნეობებში, ნაკრძალებში, მდინარეებისა და წყალსაცავების მახლობლად მდებარე დასახლებულ პუნქტებში. ეს ჯგუფები შევლენ ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების რესპუბლიკური შტაბის სექციისადმი დაქვემდებარებული საქალაქო და რაიონული რაზმეულების შემადგენლობაში.

ვფიქრობთ, დაწყებული საქმე ხელს შეუწყობს ბუნების უფრო ეფექტიან დაცვას.

დისციპლინა და ორგანიზებულობა წარმატების საწინდარია

ამომრჩეველთა შეხვედრა მ. ს. სოლომენცევთან

რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს სამხრეთ ურალელები შესამჩნევი წარმატებებით შეხვდნენ. ხუთწლედის დამდეგიდან გეგმის გადაჭარბებით რეალიზებულია 350 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების სამრეწველო პროდუქცია, გადაჭარბებით შესრულდა შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის დავალება.

ეს აღინიშნა 15 თებერვალს ამომრჩეველთა შეხვედრაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტ- [illegible]

[illegible]

ბუსმა, ქლიბის ქარხნის მუშამ ვ. პ. კორობოვამ და სხვებმა თქვეს, რომ სამხრეთურალელები შეუპოვრად იბრძვიან წესრიგისა და ორგანიზებულობის საყოველთაოდ დამკვიდრებისათვის, პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, ყველასა და თითოეულის პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ მ. ს. სოლომენცევს, რომელმაც წარმოთქვა სიტყვა. ჩემთვის გაწეული მაღალი ნდობა, [illegible]

[illegible]

პლენუმების მიერ შემუშავებული პარტიის კურსის შეუპოვარ თანამიმდევრულ რეალიზაციას, საქმისათვის საბჭოთა ადამიანების მტკიცე საქმიან განწყობას დადებითი შედეგები მოაქვს. ჩვენი სამშობლო უფრო ძლიერი და ლამაზი, ჩვენი ცხოვრება კი უფრო უზრუნველყოფილი და შინაარსიანი გახდა.

უფრო დინამიკურად ვითარდება საბჭოთა ეკონომიკა და უწინარეს ყოვლისა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განმსაზღვ- [illegible]

[illegible]

და დაგროვებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავალი. მისი მოცულობის ოთხი მეხუთედი ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას მოხმარდა.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში შესამჩნევი წვლილი შეაქვთ ჩელიაბინსკის ოლქის მშრომელებს, მ. ს. სოლომენცევმა დაწვრილებით დაახასიათა ოლქის მიღწევები მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, საბინაო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში, საქონლით და მომსახურებით მოსახლეობის უზრუნველყოფაში. კეთილისმყოფელი ცვლილებები, ხაზი გაუსვა მან, დაეტყო მიასის [illegible]

[illegible]

მაინც, შენიშნა მან, უნდა მთელი პირდაპირობით ითქვას, რომ წარმოება, საზოგადოება ჯერ კიდევ საგრძნობ დანაკარგებს განიცდის არაშემოქმედებითი, უინიციატივო მუშაობისაგან. ეს იგივე უყაირათობა, მფლანგველობაა. არ შეიძლება უქნარების, გამცდენების, წუნისმკეთებლების შეწყნარება. ჩვენი საერთო ინტერესები გულისხმობს ამ მოვლენებისადმი შეურიგებლობის ატმოსფეროს შექმნას. განსაკუთრებით დაუშვებელია ჩვენს ცხოვრებაში ლოთობა და ალკოჰოლიზმი.

ჩვენი წყობილების უდიდესი დემოკრატიზმის, [illegible]

[illegible]

სკკპ ცენტრალური კომიტეტი უდიდეს ყურადღებას უთმობს პარტიის საკონტროლო ორგანოების მუშაობას, მხარს უჭერს მათ პარტიის რიგების სიწმინდისათვის ბრძოლაში. ამას წინათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მოიწონა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის მუშაობა გასულ წელს და ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა კიდევ უფრო განმტკიცდეს პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა, მკაცრად იქნას დაცული კომუნისტების მიერ პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმები.

მ. ს. სოლომენცევმა გულითადი მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს მისთვის გაწეული ნდობისათვის და დასასრულ [illegible]

[illegible]

ლიონობით ადამიანის მონაწილეობა კონტროლის საქმეში. კონტროლის — პარტიული, სახელმწიფო, საზოგადო კონტროლის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ყოველივე იმის გამოვლენა და აღმოფხვრა, რაც ეწინააღმდეგება სოციალიზმის ბუნებას, შორდება მის პრინციპებს.

[illegible] მობს, რომ საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ლენინურ კურსს, რომ საბჭოთა ხალხი ესწრაფვის მშვიდობის ამ, ალმშენებლობითს შრომას კომუნიზმის იდეალების გასამარჯვებლად. (საკდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო აწყობენ რესპუბლიკის საზოგადოებათმცოდნე მეცნიერთა სამეცნიერო-თეორიულ კონფერენციას თემაზე: „ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სტატია „განვითარებული სოციალიზმის მოთხოვნათა დონეზე" და რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ამოცანები".

კონფერენცია გაიმართება 1985 წლის 18 თებერვალს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში (რუსთაველის პრ., 29). დასაწყისი დღის 3 საათზე.

დისციპლინა და წესრიგი — განვითარებული სოციალიზმის მოთხოვნათა დონეზე

რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრება

მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების საკითხები განიხილეს 14 თებერვალს თბილისში გამართული რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრების მონაწილეებმა. მათ გააანალიზეს შარშანდელი წლის მანძილზე სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის შედეგები, განსაზღვრეს მიმდინარე წლის ამოცანები, განაცხადეს, რომ საჭიროა კიდევ უფრო მტკიცედ აღკვეთონ სოციალისტური საკუთრების ხელყოფის ფაქტები, უფრო ქმედითი გახადონ დატაცების, მექრთამეობის, სპეკულაციის პროფილაქტიკა. გაიმართა მწვავე, კრიტიკული, მომთხოვნი სჯაბაასი, გამოავლინეს არსებული ნაკლოვანებანი, დასახეს მათი აღმოფხვრის კონკრეტული, პრაქტიკული გზები. სამართალდარღვევის წინააღმდეგ ბრძოლა, აღინიშნა კრებაზე, საზოგადოების ყველა წევრის, თითოეული შრომითი კოლექტივის, თითოეული პარტიული ორგანიზაციისა და ადგილობრივი საბჭოს საქმე უნდა გახდეს.

პარტიული აქტივის კრება დიდხანს და გულდასმით მზადდებოდა. ჯერ კიდევ შარშან ნოემბერში პრესის, ტელევიზიისა და რადიოს მეშვეობით საქართ-

[...]

ბებს, რჩევა-დარიგებებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც ხელს შეუწყობს სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობის შემდგომ სრულყოფას.

დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის, დისციპლინის განმტკიცების, სოციალისტური საკუთრების დაცვის უზრუნველყოფისათვის მუშაობის შედეგები შეაჯამეს იანვარში ყველა ქალაქსა და რაიონში გამართულმა პარტიული აქტივის კრებებმა, სადაც შესაბამისი შეფასება მისცეს ამ შედეგებს, დასახეს სამომავლო კონკრეტული ღონისძიებანი. იგივე პრობლემები განიხილეს ყველა სამინისტროსა და უწყების კოლეგიების გაფართოებულ სხდომებზე, პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებებზე. სამართალდაცვითი ორგანოების ცხრა ათასზე მეტმა მუშაკმა ანგარიში ჩააბარა შრომითს კოლექტივებს, ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებლებს მართლწესრიგის განმტკიცებისათვის გაწეული მუშაობის შესახებ. ამ ანგარიშების დროს მშრომელებმა გამოთქვეს მრავალი კრიტიკული შენიშვნა და წინადადება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპა-

[...]

გამოეხმაურა. ეს, უწინარეს ყოვლისა, მოწმობს, თუ რაოდენ აღელვებს ყველას დისციპლინისა და მართლწესრიგის განმტკიცების, დატაცებების, მექრთამეობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემა. მეორეც ის, რომ ეს გამოხმაურებები შეიცავს მნიშვნელოვან წინადადე-

[...]

ციპლინის, მართლწესრიგის, სოციალისტური კანონიერების განმტკიცების აქტუალური პრობლემები, წამოაყენეს ამ მიმართულებით პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის ფორმებისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფის ზუსტი რეკომენდაციები.

პარტიული ხელმძღვანელობა წარმატების საფუძველია

საქართველოს პარტიული აქტივის კრება მიმდინარეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის რიგგარეშე თებერვლის პლენუმიდან ერთი წლის შემდეგ, რომელზეც განსაკუთრებული სიმწვავით დადგა დისციპლინის, ორგანიზებულობის, წესრიგის საკითხი.

ბოლო დროს პარტიამ განახორციელა მტკიცე ღონისძიებები,

[...]

ბასთან, რომელიც მართლწესრიგის განმტკიცებისათვის შემდგომი მუშაობისა და სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ზუსტი გრძელვადიანი პროგრამა გახდა. მთელი ამ წლების მანძილზე რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია თანამიმდევრულად ახორციელებს ამ პროგრამას. და ამას სისტემურ საფუძველზე აქცევს.

[...]

ტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო, სამართალდაცვითმა ორგანომ და საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ დაიკავოს აქტიური შეტევითი და უკომპრომისო პოზიცია მართლწესრიგის განმტკიცებაში.

ცხოვრება ერთ ადგილას როდი დგას. იგი მოძრაობს და ვითარდება. მასთან ერთად კი ვითარდება საზოგადოებრივი, სოციალური მოვლენები, რომლე-

[...]

მთელი ამ პრობლემებისადმი არასაკმარის ყურადღებას იჩენენ საბჭოთა ორგანოები. საყოფაცხოვრებო დანაშაულობათა პროფილაქტიკაში სერიოზული ნაკლოვანებები აქვთ აგრეთვე გურჯაანის, ხაშურის, გეგეჭკორის, გორის, წალკისა და ზოგიერთი სხვა რაიონის საბჭოთა, სამართალდაცვით ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

კომპეტენტურობა ზერელობა

მეტი წესრიგი — ნიშნავს განუხრელად ვახორციელებდეთ ლენინის მითითებას, რომ გარდაუვალია სასჯელი ჩადენილი დანაშაულისათვის, საამისოდ კი უნდა გავაუმჯობესოთ დანაშაულობათა გახსნის მაჩვენებლები. კრე-

[...]

კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით უფრო მეტად უნდა ვიყენებდეთ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის შესაძლებლობებს.

[...]

და ორატორებმა აღნიშნეს, რომ ინფორმირებულობა და მიღებულ ინფორმაციაზე რეაგირება ჯერ კიდევ არასაკმარისად არის მოგვარებული. შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები, სხვა ადმინისტრაციული ორგანოები ცუდად არიან ინფორმირებული იმ

[...]

წეოდეთ. ამასთან, ვეწეოდეთ მეცნიერულ საფუძველზე მინისტრთა საბჭოში, ცენტრალური კომიტეტის განყოფილებებში, სამინისტროებსა და უწყებებში, სადაც ყველა ეს საკითხი საფუძვლიანად, ღრმად უნდა შეისწავლებოდეს და ანალიზდებოდეს.

გავუფრთხილდეთ რესპუბლიკის პრესტიჟს

საჭიროა უფრო აქტიურად ვებრძოლოთ სპეკულაციას, რომელიც ჯერ კიდევ საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული, მეტადრე სოფლის მეურნეობის პროდუქტებით სპეკულაციას. მისი ლიკვიდაციისათვის უწინარეს ყოვლისა სათანადო წესრიგი უნდა დავამყაროთ საკოლმეურნეო ბაზრებში, ალვკვეთოთ რესპუბლიკის

[...]

რორისადმი მომთხოვნელობის გაძლიერება მართებს პროკურატურის კოლეგიასაც.

საჭიროა უფრო შეურიგებლად მოვეკიდოთ მუქთახორობის, საშოვარზე წასვლის, ნარკომანიის გამოვლინებებს. ბრძოლის გაძლიერება პარაზიტიზმის, იმ პირების წინააღმდეგ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სა-

[...]

(დასასრული მე-3 გვ.)

დისციპლინა და წესრიგი — განვითარებული სოციალიზმის მოთხოვნათა დონეზე

(დასასრული)

საქმებული არ იყვნენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით.

კრებამ პარტიის ბოლნისის რაიკომის პირველი მდივნის ამხ. თ. ი. ხაზარაძის ყურადღება მიაპყრო ასეთი მდგომარეობის შეუწყნარებლობას და მოითხოვა განახორციელოს ყველაზე გადამჭრელი ღონისძიებანი, დაამყაროს ჯეროვანი წესრიგი რაიონში.

მუქთახორობასთან დაკავშირებულია მიგრაციული პროცესები. კონტროლის უქონლობა, ანტისახელმწიფოებრივი პოზიცია მთელი რიგი ხელმძღვანელებისა, თვალს ხუჭავენ მუქთახორების პარაზიტულ ცხოვრებაზე, თვეების მანძილზე შინ რომ არ არიან და იმყოფებიან რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, ხშირად იწვევს იმას, რომ ეს სამართალდამრღვევები „საგასტროლოდ მოგზაურობენ" ქვეყანაში.

ახლახან მოსკოვში დააკავეს დამნაშავეთა ჯგუფი, რომლებიც იტაცებდნენ ავტომანქანებს და ყალბი საბუთებით ყიდიდნენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რეგიონში. რამდენიმე მსჯავრდებული ჩვენი რესპუბლიკის მცხოვრებია. ამ ბოლო დროს მოსკოვში გამოავლინეს რამდენიმე თავხედური დანაშაული ჩვენი რესპუბლიკის მცხოვრებთა მონაწილეობით. დაკავებულია ასამდე

შრომითი დასაქმება, საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი საწარმოო სიმძლავრეები და ა. შ., რესპუბლიკის მცხოვრებთა მიგრაცია მის ფარგლებს გარეთ რამდენადმე შემცირდა. 1979 წელთან შედარებით „მოშაბაშეთა" რიცხვი შარშან ორჯერ და მეტად შემცირდა.

მაგრამ ისეთ რაიონებში, როგორიც არის წალკის, დმანისის, ბოლნისის, ახალციხის, თეთრი წყაროს და სხვა რაიონები, ეს საკითხი ჯერ კიდევ მწვავედ დგას.

მოხსენებასა და გამოსვლებში მწვავედ იყო დაყენებული ნარკომანიის, უწინარეს ყოვლისა, ნარკოტიკულ ნივთიერებათა გამსაღებლებისა და რეალიზატორების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკითხები. მაგრამ განხორციელებული ღონისძიებანი აშკარად საკმარისი არ არის. ამიტომ ეს ღონისძიებანი ყველაზე კარდინალური უნდა იყოს. იუსტიციის სამინისტრომ სხვა სამართალდაცვითი ორგანოების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილებასთან არსებულ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოში შემავალი თვალსაჩინო მეცნიერი იურისტების მონაწილეობით შეიმუშავა წინადადებანი ნარკოტიკულ ნივთიერებათა დამზადებისა და გასაღე-

[illegible]

კანონი ყველასთვის ერთია

[illegible]

უსაფრთხო მოძრაობისთვის

[illegible]

სახელმწიფო ფონდებიდან ეძლეოდა 15-17 ათასი ავტომობილი, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ შეძენილი ავტომანქანების არაორგანიზებულმა შემოტანამ უფრო ფართო მასშტაბი მიიღო და დღეს ასეთივე რაოდენობისაა.

დგება ამ სტიქიური პროცესის ნეგატიურ შედეგებთან დაკავშირებული პრობლემების წრე. ეს არის საწვავ-საპოხი მასალების, სათადარიგო ნაწილების, ავტოსა-

[illegible]

ავტომობილებს და ასეთ საარაკო თანხას იხდის მათში? ესენი ძირითადად არიან მომსახურების სფეროს მუშაკები — გამყიდველები, მებუფეტეები, საქონელმცოდნენი, მაღაზიების გამგეები, მინის ტარის მიმღები პუნქტების გამგეები. ტექმომსახურების სადგურების მუშაკები, ტაქსის მძღოლები და სხვანი. უნდა გავერკვეთ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში: ვინ არიან უცხოური

[illegible]

ამას ეს ინსტანცია გახდეს სასამართლო საქმიანობის ნიმუში, საიმედო დაბრკოლებას უქმნიდეს ქვემდგომი სასამართლოების შესაძლო შეცდომებს, წარმოადგენდეს დიდ მეთოდიკურ ცენტრს.

ის ფაქტი, რომ ნიადაგ გვიწევს დავუბრუნდეთ პროკურატურის ორგანოებში, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, სახალხო სასამართლოების ორგანოებში ფორმალიზმისა და ბიუროკრატიული საქმის გაჭიანურების გამოვლინებების

[illegible]

უზრუნველვყოთ იდეოლოგიური, შეუტევითი ფართო ფრონტით

[illegible]

წარდგენილია საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიაზე

ახალი მიმართულების მაცნე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფესორ რ. ადამიას ნაშრომთა ციკლის „საგლინავი მანქანებისა და მექანიზმების ოპტიმალური დინამიკური სისტემების გაანგარიშებისა და რაციონალურად დაგეგმარების მეცნიერული საფუძვლების" გამო.

ნაშრომთა ამ ციკლში შედის მონოგრაფია „საგლინავი დგანების დინამიკური დატვირთვის ოპტიმიზაცია", რომელიც მოსკოვში 1978 წელს გამოვიდა. გარდა ამისა, მასში შევიდა მექანიზმების ოპტიმალური დინამიკური პროცესებისა და რაციონალური კონსტრუქციის მანქანების დაგეგმარების პრობლემებისადმი მიძღვნილი მეცნიერული სტატიები.

აღსანიშნავია, რომ მოწყობილობის მსხვრევისა და ავარიების გამო მეტალურგიული მრეწველობა ყოველწლიურად დიდად ზარალდება. ზარალი 700-800 მილიონ მანეთს აღწევს. თანაც: მეტალურგიული მოწყობილობის საერთო წონა 200 მილიონ ტონას აღემატება, რაც მეტისმეტად გაზრდილია და განპირობებულია ამ მანქანების მეცნიერულად დასაბუთებული დინამიკური გაანგარიშებისა და რაციონალური დაგეგმარების მეთოდების არარსებობით. კონსტრუქტორ-დამგეგმარებლებს რომ ასეთი ინჟინრული მეთოდები ჰქონდეთ, შესაძლებლობა ექნებათ სამჯერ და კიდევ მეტად შეემცირებინათ მოწყობილობის წონა და გაბარიტები. ეს ლითონის მნიშვნელოვან ეკონომიას მისცემდა სახელმწიფოს.

ამ ხარვეზებზე, როგორც ცნობილია, ყურადღება გაამახვილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმმა.

რ. ადამიას გამოკვლევათა ციკლი ჩვენს ქვეყანაში შექმნილი პირველი ნაშრომია, რომელშიც მაღალ მეცნიერულ დონეზეა დამუშავებული მეტალურგიული მოწყობილობის ავარიული რეჟიმების პირობები და მათი ოპტიმალური პარამეტრების გაა-

ნგარიშებისა და რაციონალური კონსტრუქციის მანქანის შექმნის განზოგადებული საინჟინრო მეთოდები. ამ ნაშრომებით დასაბამი მიეცა სახალხო მეურნეობისათვის უაღრესად მნიშვნელოვან ახალ მეცნიერულ მიმართულებას, რაც საშუალებას იძლევა მეცნიერულ საფუძველზე განისაზღვროს მანქანების სიმტკიცის მარაგის კოეფიციენტი, მნიშვნელოვნად შემცირდეს კონსტრუქციების ლითონტევადობა, გაიზარდოს მანქანების სამსახურის ვადა და მიღებული პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლები.

ავტორის მიერ შემუშავებული თანამედროვე მათემატიკური აპარატის გამოყენებით გაანგარიშების მეთოდები საშუალებას იძლევა მანქანების დაგეგმარების საწყის სტადიაში განისაზღვროს კონსტრუქციული პარამეტრების ის მნიშვნელობანი, რომელთა ფიზიკური რეალიზაცია უზრუნველყოფს სისტემის მინიმალურ დინამიკურ დატვირთვას და მთლიანად აღმოფხვრის მანქანის ავარიული მუშაობის რეჟიმებს. ამ

[illegible]

უკანასკნელი 25-30 წლის მანძილზე მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ძირითადად ვითარდება ოპტიმალური პროცესების დინამიკური პროგრამირების მეთოდი და ოპტიმალური მართვის თეორია, რომელიც შექმნეს ამერიკელმა მეცნიერმა რ. ბელმანმა და საბჭოთა მათემატიკოსმა ლ. ს. პონტრიაგინმა.

მეტალურგიული მანქანებისა და მექანიზმების ტრანსმისიებში დინამიკური პროცესების ოპტიმატიზაცია აღნიშნული თეორიების გამოყენების საფუძველზე ფრიად დიდ გამოთვლითს სიძნელეებს აწყდება და ამიტომ პრაქტიკული საინჟინრო ამოცანების გადასაწყვეტად მოუხერხებელია. ამ მხრივ

[illegible]

რეა მეტალურგიული მანქანებისა და მექანიზმების დინამიკური პროცესების ოპტიმიზაციური სინთეზის ახალ, უაღრესად მნიშვნელოვან მეცნიერულ მიმართულებას, რაც, თავის მხრივ, მჭიდროდ არის დაკავშირებული ლითონის ეკონომიის რეზერვების გამოვლენასთან, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის მაჩვენებლების, მანქანების მწარმოებლობისა და მედეგობის ზრდის აქტუალურ საკითხებთან.

მ. ხვინგია,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;
ა. ნოზაძე,
პროფესორი.

თანაგრძნობით იკითხება ჯანსუღ ჩარკვიანის ნებისმიერი პოემა. მათში ყოველთვის ზედმიწევნით ზუსტად არის ნაპოვნი უმთავრესი სათქმელის ინტონაცია. ისევე, როგორც ლირიკული პოემების უმრავლესობას, მის პოემასაც არ გააჩნია მკაცრი, კანონიკური სტრუქტურით აგებული სიუჟეტი და ფაბულა, მაგრამ მაინც პირველი სტრიქონებიდანვე იგრძნობა, რისადმია მიპყრობილი პოეტის გულისყური, რა აწუხებს, რა აფორიაქებს, საითკენ იმზირება... და ამჯერადაც, ისევე, როგორც ყოველთვის ხდება მის პოეზიაში, პოეტური აზროვნების ყველა ხატი და ყველა ფრთაგაშლილი წარმოსახვა სამშობლოს დაჰფოფინებს, სამშობლოს თანაუგრძნობს და ჭირისუფლობს:

„საკუთარ თავში ბევრჯერ
შემშლიხარ
და იმედივით ბევრჯერ
მეახლე“
(„ღია ბჭრათი“).

ჯანსუღ ჩარკვიანის პოემათა მხატვრული ატმოსფერო არასოდეს არ არის მშვიდი, გაწონასწორებული, თავიდან ბოლომდე ერთი რიტმიკით დაწერილი. მის პოემაში ხშირად შემოდის სხვადასხვა თემატიკური მოტივი, რომლებიც თავის შესატყვის ფორმას, სიტყვიერ სამოსს, ინტონაციას მოიყოლიებს.

ჰეგელი ამბობს, რომ ეპიკური პოეზიის შინაარსი „ეროვნული ცხოვრებაა“. ეპიკური სამყაროს საფუძველია აუცილებლობა ზოგადეროვნული საქმისა, რომელშიც ერის სულიერი სიმდიდრე აისახება. ჯანსუღ ჩარკვიანის პოემებშიც უმთავრესი სწორედ ეროვნულ ენერგიაზე ფიქრი და [illegible]

ერთი შეხედვით, უცნაური, მაგრამ მხატვრული ლოგიკის წყალობით ზებუნებრივი რამ—ერთბაშად, ერთ წამში იცვლება, იმსხვრევა დროისა და სივრცის თვალუწვდენელი ჰამანები, ისტორიული გმირები ისევე აქტიური მონაწილენი ხდებიან ამ საგანგაშო პროცესისა, როგორც ჩვენი თანამედროვე ადამიანები.

ჯანსუღ ჩარკვიანის პოემათა ლირიკული გმირი ხშირად თავის სათქმელსა და სატკივარს სწორედ რომ ისტორიული პირის არსებაში, მის ცნობიერებაში გარდატეხილსა და გამოვლენილს გვიჩვენებს, რის შედეგადაც კიდევ უფრო ხელშესახები და ძვირფასი ხდება სამშობლოს გრძნობა, კიდევ უფრო ძლიერდება და იზრდება თავისუფლებისადმი სწრაფვა და ლტოლვა:

„ვაი მამულო, რამდენს ჰგონია,
ვისაც სიტყვა არ აუწონია,
რომ საქართველოს ნამზლევ
გოლიათს, ხმალამოღებულს არ
უბრძოლია.
მივგრუხუნობდით და
მივზვავობდით, ყველა
სიკვდილთან შენახვედრია,
თავისუფლება ისე არ მოდის,
თავისუფლება ლომთა
ხვედრია“.
(„ჯავჭვის თორანი“).

ამ სტრიქონებში კარგად იგრძნობა ქართველი ხალხის ავბედითი ფიზიკური და, უპირველეს ყოვლისა, სულიერი გამოცდილება.

არსებობს ისეთი მარადიული და ამავე დროს, ისეთი შეჩვეული ცნებები, რომელთა გამო- [illegible]

ჩვენი სიცოცხლე მზის სასწორია

[illegible]

საპატიო წოდებათა მინიჭება

[illegible]

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

15 თებერვალი ● საქდესი იუწყება

გმობენ ბირთვულ სიკვდილს

საბჭოთა კავშირი თანამიმდევრულად ილაშქრებს ყოველგვარი იმ ცდის წინააღმდეგ, რომ დაარღვიონ არსებული სამხედრო წონასწორობა, იბრძვის თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების საფუძველზე ბირთვული და ჩვეულებრივი შეიარაღების არსენალების რადიკალური შემცირებისათვის, საყოველთაო და სრული განიარაღებისა და ბირთვული იარაღის ლიკვიდაციისათვის. ასეთია საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მასალების, სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეების გამონათქვამების ლაიტმოტივი, რომლებიც განმარტავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. უ. ჩერნენკოს პასუხს არგენტინის მოძრაობის „სიცოცხლისათვის ასთა მოწოდების“ მიმართვაზე.

„**მოსკოვი** გმობს ბირთვულ სიკვდილს“, „კოსმოსს მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით უნდა ვიყენებდეთ“ — ასეთი სათაურებით აქვეყნებს დოკუმენტს ბუენოს-აირესის პრესა. როგორც გაზეთი „კლარინი“ ალნიშნავს, სსრ კავშირმა უკვე იკისრა ვალდებულება — პირველმა არ გა- [illegible]

პოზიციის გამო, ალნიშნავს გაზეთი.

საბჭოთა ხელმძღვანელის პასუხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშვიდობისათვის ბრძოლის გააქტიურებისათვის, განაცხადა „სიცოცხლისათვის ასთა მოწოდების“ მოძრაობის ერთ-ერთმა თავმჯდომარემ, შეურიგებლობის პა- [illegible]

რიკის შეერთებული შტატები ამუშავებს.

ფრანგული „ეკო“ განმარტავს კ. უ. ჩერნენკოს პასუხს და აღნიშნავს, რომ კოსმოსში გამალებული შეიარაღების გადატანას მოჰყვება კონტროლსდაუქვემდებარებელი გამალებული შეიარაღება ყველა მიმართულებით. მეორე ფრანგული გაზეთი „ლუმანიტე“ წერს: ახლანდელ მშფოთვარე დღეებში სულ უფრო თვალსაჩინო ხდება ისტორიის მიერ დამტკიცებული ჭეშმარიტება — მსოფლიოს ბედი დიდად არის დამოკიდებული ხალხთა ნებასა და შეკავშირებულ მოქმედებაზე. და მსოფლიოს ხალხები მტკიცედ გმობენ ბირთვულ სიკვდილს, გადაჭრით მოითხოვენ გამალებული შეიარაღების შეჩერებას.

ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს პასუხი საბჭოეთის გულწრფელი მშვიდობისმოყვარეობის, დღევანდელობის უპირველესი პრობლემების გადაწყვეტისადმი მისი კონ- [illegible]

[illegible] ბიანი გზით, მით უმეტეს მასობრივი მოსპობის იარაღით გადატვირთულ ახლანდელ მსოფლიოში. საბჭოთა ხელმძღვანელმა, აღნიშნავს „ჰინდუსტან ტაიმსი“, მტკიცედ დაგმო ეგრეთ წოდებული „კოსმოსური ომების“ სამხედრო პროგრამა, რომელსაც ამე-

[illegible] რაკებაზე. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საიმედოდ გადავუღობოთ გზა იმ იმპერიალისტურ წრეებს, რომლებსაც სურთ კოსმოსი მილიტარისტული ავანტიურების ასპარეზად აქციონ.

ფოტოფაქტი

უხეში დისკრიმინაცია

[illegible]

 იტალია

პანიკა სავალუტო ბირჟებზე

რომი. იტალიის მთავრობის მეთაურის ბ. კრაქსის თავმჯდომარეობით აქ გაიმართა საგანგებო თათბირი. თათბირის მონაწილეებმა განიხილეს მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია, იტალიის სავაჭრო და სავალუტო ინტერესების დაცვა, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების დოლარის გაცვლითი კურსის მკვეთრ ამაღლებასთან დაკავშირებით. მათ მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმეს იტალიის ექსპორტთან და საგარეო გადასახდელებთან დაკავშირებულ პრობლემებსაც.

უკანასკნელი რამდენიმე დღის მანძილზე იტალიის სავალუტო ბირჟები პანიკამ მოიცვა. ამერიკულმა ფულის ერთეულმა რეკორდულ ღირებულებას მიაღწია — ერთი დოლარი 2 ათას იტალიურ ლირაზე მეტს უდრის.

როგორც ადგილობრივი ეკონომიკური მიმომხილველები აღნიშნავენ, ამერიკის შეერთებული შტატების დოლარის გაცვლითი კურსის შემდგომ ამაღლებას მოჰყვება იტალიის ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამწვავება. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია, რომელიც ცდილობს დასავლეთევროპელ პარტნიორთა ხარჯზე დაძლიოს შინაგანი ეკონომიკური სიძნელეები, სრულიადაც არ აპირებს ხელი აიღოს საბანკო დისკონტის განაკვეთის ზრდის ეგოისტურ პოლიტიკაზე, რომელიც იწვევს დასავლეთ ევროპიდან ოკეანის გაღმა კაპიტალების მასობრივ უკუდენას და საფუძვლად უდევს დოლარის ხელოვნურად გადიდებულ კურსს.

ინგლისი

უმუშევრობა ძლიერდება

ლონდონი. ინგლისში ძლიერ- [illegible]

პასუხში, რომლებიც ეხება მასო- [illegible]

ირან-ერაყის კონფლიქტი

[illegible]

ჭადრაკი

ფიდეს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით

ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის (ფიდე) პრეზიდენტმა ფ. კამპომანესმა შეიძლო გადაწყვეტილება შეწყდეს მსოფლიო პირველობის მატჩი მსოფლიო ჩემპიონს ა. კარპოვსა და ამ წოდების პრეტენდენტს გ. კასპაროვს შორის 48 პარტიის შემდეგ. ფ. კამპომანესმა ეს განაცხადა 15 თებერვალს გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელიც სასტუმრო „სპორტის“ კონფერენც-დარბაზში მოეწყო საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის.

1985 წლის სექტემბრის დამდეგს მათ შორის დაიწყება ახალი მატჩი, რომლის შედეგადაც გამოცხადდება 1985-1986 წლების მსოფლიო ჩემპიონი. ფ. კამპომანესმა თქვა, რომ ახალი მატჩის რეგლამენტის საკითხს ფიდეს მო- [illegible]

რ. მ. გოლიაძე

[illegible]

ჩვენი ტელეეკრანები

[illegible]